რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ბერძენის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. ხუთის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible] 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს [illegible] ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ტელეგრამები „დროებისა" დარიგდება მეორე [illegible]

ფერის-ცვალების დღესასწაულის გამო ხვალ, შაბათს გაზეთი „დროება" არ გამოვა.

---

ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველის აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში — ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

---

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურგი, 4 აგვისტო. მოსკოვში, გამოფენაზე კრიუმმიუგელის ნივთების საწყობიდან დაიკარგა 8000 მანეთამდის ღირებული ნივთები — ქურდი ვერ აღმოაჩინეს; პასუხის მგებელია არტელი (ამხანაგობა).

ჟიდების საქმის შესახებ მიტომუ-[illegible] კანცელიური თხოვნა უყურადღებოდ დატოვილ იქმნა.

შუა-აფრიკაში მოგზაურობა შოლცროგოზინსკისა აღარ მოხდება.

სტამბოლი, 3 აგვისტო. კონფერენციამ გარდასწყვიტა დაადგინოს ერთა შორის დაცვა სუეზის არხისა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტ.

| | |
|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
| პირველი გამოცემისა — | 94 — 87 |
| მეორესი — — — — | 90 — 37½ |
| მესამესი — — — — | 90 — 50½ |
| მეოთხესი — — — | 90 — 12½ |
| მეხუთესი — — — | 90 — „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — 37½ |
| აღმოსავლეთის მეორე. | 89 — 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — 37½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — 24 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 214 — 25 |
| მეორე სესხის — — | 212 — 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — 03 | პენსი |
| ჰამბურგი — | 205 — 75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 252 — 75 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

---

## საეკლესიო საქმეები

ამ ჟამად დანიშნულია ახალი ეგზარხოსი საქართველოს ეკლესიისა და მალე უეჭველად ვნახავთ ჩვენში ჩამოსულს.

ახლად დანიშნულმა ეგზარხოსმა რამდენად იცის ჩვენის ეკლესიის და სამღვდელოს წარსული და აწმყო მდგომარეობა, ამაზე თქმა ვერა-ფერისა შეგვიძლია. მაგრამ ადვილად მისახვედრია, რომ თუნდაც წიგნებით და წერილებით ან სიტყვით საქართველოს ეკლესიის ისტორია იცოდეს და სამღვდელოების მდგომარეობა, ეს ცოდნა რასაკვირველია შორიდამ ცოდნა იქნება. ჩვენს ქვეყანაზე შორს დაბადებულს და მცხოვრებს მეტიც რასაკვირველია არ შეუძლია. ყოველივე დაწვრილებითი და შინაური გარემოება თუ ეკლესიის საქმეებისა და თუ სამღვდელოებისა, ძველი და ახალი, ვერ ეცოდინება. თუ მწყემსთ-მთავარი განათლებული კეთილ-მოსურნე და გამჭრიახე კაცია, რასაკვირველია მოისურვებს აქაურ ძველისა და ახლის ვითარების შეტყობას და საჭიროების ცოდნას.

ამ გვარად სასულიერო და სამწყსოს საჭიროების შესატყობად ეგზარხოსს დასჭირდება სამღვდელოების და საზოგადოების დახმარება.

ამ დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის მდგომარეობისათვის და ამიტომ კარგი სამზადისი და მოსაზრება არის საჭირო.

ვისაც გული შესტკივა ჩვენის ყოფა-ცხოვრებისათვის კარგად უნდა ახსოვდეს დღეს რა ადგილი უჭირავს ხალხის ცხოვრებაში ეკკლესიას და სამღვდელოებას, კარგა უნდა ახსოვდეს მისი წარსული და მომავალი ისტორიული მნიშვნელობა საქართველოსთვის; უნდა ახსოვდეს რომ იგი ძალია და უნდა ემსახურებოდეს კეთილს და ერის სიკეთესა. რა კი ეს გვეხსომება, ადვილად გასაგებია, რომ ყველა გულ-შემატკივარს ვალად ადევს საეკკლესიო საქმეებზე და საჭიროებაზე ზრუნვა.

ჩვენს მწერლობაში ბევრს საგანზე ყოფილა სჯა და გამოთქმული აზრები არ დარჩენილა უდაბნოში ღაღადებად. ზოგი გამოთქმული საჭიროება თუ დაუკმაყოფილებლად დარჩენილა, სამღვდელოებისა და საზოგადოებისათვის მაინც თვალი გაუხილვინებია. ძველავაც იმედი უნდა გვქონდეს რომ ჟურნალ-გაზეთობა განაგრძელებს თავის სამსახურს, თუმცა იგი ამ საგანში კარგა შევიწროებულია.

ჟურნალ-გაზეთებს გარდა დიდი შრომა შეუძლიათ თვით სამღვდელოების გვამთა, რადგანაც ახლოს არიან და პირ-და-პირ მოხსენება შეუძლიათ საზოგადო საეკკლესიო საჭიროებისა. არც ნაკლები დახმარება იქნება ერის-კაცთაგან მოხსენება, რაც საერთო და საზოგადო საჭიროება ეკკლესიის შესახები.

ყოველს ამას ვამბობთ, იმ შემთხვევისათვის, რომ დღეს-ხვალ ახალი ეგზარხოსი მოსასვლელია და ყველას გვმართებს მოსაზრება მოფიქრება, ჟურნალ-გაზეთებში წერა იმ საგნებზე და იმ საჭიროებაზე, რაც უნდა ვაცოდინოთ...

უნდა ვიცოდეთ მწყემსთ-მთავარი რომ მოვა, როგორ დაუხვდეთ, რა უთხრათ, რაზე მივაპყრობინოთ ყურადღება. პირველს ხანებში გამოთქმულს აზრს და სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს, რომელიც კაცს სა-

---

„დროების" ფელეტონი, 6 აგვისტ.

### ფერის-ცვალება

ქართველობავ! მოგილოცავ
დღეს ქრისტეს ფერის-ცვალებას!
მისმა მადლმა აგაცილოს
ყოველ გვარ ტანჯვა-წვალებას.

—

მოგეცეს ყველა სიკეთე:
ქვევრში ღვინო, ორმოს პური;
გული, მხნეობა, ქველობა,
სიმტკიცე მამა-პაპური.

—

აგეხილოს ხედვად თვალი,
სცნო ერი: მოყვარი, მტერი!...
ჩვენს წინაპრებს ეს სცოდნიათ,
რომ სისხლით ურწყავთ ივერი!

—

ღმერთმა ქვეყნის ერთგულნი გყოთ,
ძმებთ მომხრე და ქომაგი;
გული მხიარული მოგცეთ,
მუდამ მაძღარი სტომაგი.

—

ფერის-ცვალების სიწმინდევ!
შეალირსე „მარშალთ" ცვალება,
რომ აცილონ მათ ლანძღვა,
რომელიც არ ითვალება!

—

შეალირსე: მათ ასპარეზი
მკვირცხლ ჭკუით დაიწყობოდეს,
და, მათი სიბრძნე-ქველობით
მთლად „სამარშლო" ირწყობოდეს!

—

გთხოვთ, ქვეყნის მძიმე საქმენი
არ შესცვალონ „მაგრამათა"!
თუ არ გასწორდნენ, ამოსცხე
შენი რისხვა მაგრა მათა!

—

. . . . . . . . . . .

—

ცპიერ პირ-ბადე აიხსნას,
გაიძროს მელური ტყავი,
რომ კაცს გულღვიძლს არ სწუწნიდეს,
როგორც არწივი, ან სვავი!

—

ყოველი ცუდი ღმერთო გთხოვთ,
ყოველ კარგად შეიცვალოს,
რომ ამ წუთი სიცოცხლეში
კაცმა დღე ღამ არ იწვალოს!

4 აგვისტოს. ა. ცაგერელი.

### სიყმაწვილის სახიოვარი

(ნამდვილი გადმოცემა)

დიდი მეგობრები ვართ მე და ჩემი დღიური. ყოველი ჩემი ნახული და გაგონილი მას კარგად ახსოვს და არ დაიზარებს ხოლმე, მომაგონოს ჩემი წარსული; რასაც ახალს ვეტყვი, იმასაც ერთგულად მიიბარებს და შემდეგისათვის შემინახავს. ძალიან კარგი სამუსაიფოა და მოგონებათა განმაძლიერებელი; ამასთანავე არც ერთი გადია, არც ერთი გულ-წრფელი მეგობარი იმას არ შეედრება: იგი სამუდამოთ ჰფარავს ყოველს შენს საიდუმლოებათა და მხოლოდ მარტო შენ მოგაგონებს, როდესაც ჩ ეკითხები. დღიური აგრეთვე დაუფასებელი ცხოვრების თანამომგზაური მასწავლებელია: იგი წარმოგიდგენს და შეგადარებინებს წარსულს აწ მყოსთან, სიყმაწვილის გიჟურ სიცელქეს აწმყო, ცოტათი მაინც, დადუმებულს და დარბაისელ ცხოვრებასთან, სიყმაწვილის ტკბილს და ნეტარ ოცნებებს აწ განხორციელებულს ამაოებასთან, და მაშინ ეს მოგონებანი, ნამდვილი სიყმაწვილე, სიჭაბუკე, ვაჟკაცობა, დარბაისლობა სულ ერთად ირევიან, ხან სინანულის ტკბილი სიცილითაც გაცინებენ და ამ გვარად უფრო ფხიზელის და მოსაზრებულის თვალით გაცქერინებენ სოფლის ამაოებისათვის. აი სწორედ ეს გავლენა აქვს ჩემზედ ჩემს ზნეობითს მასწავლებელს — დღიურს.

ვათვალიერებ ჩემს დღიურს და ვხედავ, რომ, დიდი ხანი არ არის, თვრამეტ-ცხრამეტის წლისა ვყოფილვარ. ოჰ, ფუჭო და დაუვიწყარო სიყ-

მუდამოდ ახლოვდება. ამიტომ ჩვენც პირველ ხანებში ნათქვამი სიტყვა უნდა ავწონოთ.

ჩვენი საეკკლესიო და სამღვდელოების საჭიროება ძალიან რთული და მრავალ გვარია. ყველასაგან უნდა გამოვარკვიოთ უფრო უსაჭიროესი, რომელიც სხვა საგნების საფუძველს შეადგენს და უპირველესად იმ საჭირო საგნებზე მივაპყროთ მწყემსთ მთავრისაცა და ჩვენი ყურადღებაც.

მაგრამ სუყველას საფუძველი ერთი არის: ესე იგი, უპირველესად ჩვენმა სამღვდელოს კაცებმა, უნდა დაივიწყონ თავიანთი საკუთარი სარგებლობა და ინტერესი. უნდა ახსოვდესთ მხოლოდ საზოგადო საქართველოს ეკკლესიის და ერის კეთილი. სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ამისთანა სიტყვას ჩვენს ძველ თავდადებულობით გათქმულს სასულიერო წოდებას უნდა ვეუბნებოდეთ. მაგრამ დღეს საზოგადო საქვეყნო და საეკლესიო სარგებლობა ისე არავის არ დავიწყებია, როგორც სამღვდელოებას; მას დავიწყებია რომ საკუთარი სიკეთე მაშინ იქნება მკვიდრი, როდესაც საერთო საზოგადო, საქვეყნო სიკეთე დამყარდება.

## დღიური

ჩვენ მივიღეთ ბ.ბ. არსენ კალანდაძისაგან და ალექსანდრე დრიაჩისაგან, რომელთაც აქვთ ჩვენ ქალაქში სტამბა და უმეტეს-წილად ქართულ წიგნებს სცემენ, თხოვნა ბ.ბ. კ. ბ. ლორთქიფანიძის და პ. წულუკიძის მიმართ, რომელთაც სთხოვენ ეგენი-მიეცესთ მათ ნება როგორც სტამბის მექონეთ და ქართული წიგნების გამომცემელთ, შეიძინონ ახალი „კირილეს შრიფტი.“—ბ. კ. ლორთქიფანიძემ გამოიგონა ეს შრიფტი 1874 და ამ ჟამად ის მხოლოდ ერთ პ. წულუკიძის სტამბაში აქვთ ქუთაისში.

თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ სილარიბეს შრიფტებში, იმდი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ.ბ. კ. ლორთქიფანიძე და პ. წულუკიძე დააკმაყოფილებენ ამ მცირე და სასარგებლო თხოვნას კალანდაძისა და დრევიჩისა.

* * *

ამ დღეებში ვნახეთ ჩვენ ბ. ფ. ნათიძისაგან შედგენილი, ჯერ დაუბეჭდელი **„პირველ დაწყებითი საყმაწვილო სახელმძღვანელო“**, რომელიც, ჩვენის ფიქრით, დიდად წაადგება ახლად მოსწავლეთ სწავლაში. წიგნი კარგს მეტოდაზედაა შედგენილი. როგორც ბ. გოგებაშვილის **„ბუნების კარი“**, ესეც სხვა-და-სხვა სურათებით სავსეა. წიგნში შეგვხდებათ საუკეთესო საყმაწვილო ლექსები ჩვენი პოეტებისა. მაგრამ განსაკუთრებითი ღირსება ბ. ნათიძისაგან შედგენილის სახელმძღვანელოისა არის მრავალი **ქართული ზმების მსგავსი გამოცანაები** (რებუს), რის წყალობითაც ბავშვები მეტად გაივარჯიშებენ დაკვირვებას, გამჭრიახობასა და სიმკვირცხლეს.

ჩვენის მხრით, ვურჩევთ ბ. ნათიძეს, გაასინჯოს ეს თავის შრომა ჩვენს პედაგოგებს, შემდეგ დაბეჭდის და ამით სარგებლობა მოუტანს ჩვენ პირველ-დაწყებით სკოლებს.

* * *

ამას წინად ჩვენს გაზეთში ორი თუ სამი შემთხვევა იყო მოხსენებული ქალაქში ვიღაცისაგან დაკბენილი. ახლა გვატყობინებენ კიდე, რომ ალექსანდროვის ბაღში მოუკლავთ ერთი გველი.

გვგონია, საჭიროა ამაზედ, ვისიც ჯერ არს, ყურადღების მიქცევა.

* * *

თიანეთიდამ გვწერენ, რომ 27-ს ივლისს, იქ დროებითი განყოფილების ოლქის სასამართლო წევრებისათვის მოუპარავთ ხელის საკვოიაჟი, რომელშიაც ყოფილა ოქროს ძეწკვი 200 მ. ღირებული, რევოლვერი და სხვა ნივთებიო. ქურდის აღმოჩენა მაზრის უფროსმა მიანდო თავის ხელქვეითს ბ. ზუბუშვილს, რომელმაც მალე აღმოაჩინა ბოროტ-მოქმედი ერთი მეტყავე სომეხი.

ნივთები სრულიად გარდაეცა პატრონს.

კორრესპონდენტი ჩივის, აქაურ სომხებმა ცხადად ცარცვა არ გვაკმარეს ეხლა ჩუმა მიჰყვეს ხელიო.

* * *

გაზ. „გოლოსში“, 29 ივლისიდამ, დაბეჭდილია ღირს შესამჩნევი ვრცელი სტატია, რომელიც შეეხება ამ ჟამად კავკასიაში ადგილობრივ ჯარების სიმრავლეს, მათზედ სახელმწიფოსაგან აუარებელ და ცუდ-უბრალო ხარჯს. გ ზეთი ამბობს: „სამოცის წლის განმავალობაში გაგრძელებულმა ომმა კავკასიის რუსეთისაგან დამორჩილებისათვის მოინდომა ამ უკანასკნელისაგან დიდი სამხედრო და მატერიალური ძალა. შემდეგ ამოეცა ხარჯისა, როდესაც რუსეთი შეიქმნა მფლობელი კავკასიისა, სადაც სრული მშვიდობა ჩამოვარდა, იმედი უნდა გვქონოდა, რომ ამ მხრით აღარ მოითხოვდა კავკასია იმდენს მსხვერპლს რუსეთის სახელმწიფოდამ.

მალე ოცი წელიწადი შესრულდება რაც მთელი კავკასია რუსეთის მფლობელობის ქვეშაა. იმ მცხოვრებელთა, რომელთა სიმშვიდე, მითომ შორის მომავალში, საქმე იყო, მოექცნენ სასტიკად, მაგრამ არა საჭირო ზომებით: მთელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მხარე კავკასიისა, შავი ზღვის ნაპირები გარდაიქცა ერთ დიდ სასაფლაოდ, რომელიც ამოივსო დედამიწიდგან განადგურებულის ხალხებისაგან რუსის მჭრელი შტიკების წყალობით.

ამნაირად ხანგრძლივის სისხლის ღვრის შემდეგ, ვინ იცის რამდენთა შთამამავლობათა მსხვერპლის შეწირვად, ამ საუკუნო ბრძოლის მხარეში დამყარებულ იქმნა სრული მშვიდობა...

განვლილი ოცი წელიწადი ძლევდა სრულ შემთხვევას რუსეთს შეემსუბუქებინა ის აუარებელი ხარჯი, რომელიც იმას დასჭირდა კავკასიის დაპატრონებისათვის. რასაკვირველია ეს სამხედრო ხარჯია, ის ხარჯი, რომელიც მძიმედ დაეტყო სახელმწიფო ბიუდჟეტს... კავკასიის დეფიციტი, საზოგადო იმპერიის ბიუდჟეტში შეადგენს, მაგალითად 1881 წელს, 28,500,000 მ. ამ ხარჯში, რა თქმა უნდა, უმთავრესი ადგილი უჭირავს კავკასიის სამხედრო ძალაზე დანახარჯს, რომელიც შეადგენს ამავე წელში, გამოანგარიშებით, 27,000,000 მან. ეს ხარჯი არ შეიძლება არ ავღიაროთ გადამეტებულ ხარჯად, რომელიც არ ეთანხმება არც შინაგან მხარეთა წყობილებას და არც გარეგან აზიის სახელმწიფოთა მეზობლობას. შიგნით მხარეში სრული მშვიდობიანობაა; თუ კი მაჰმადიანთა ერებს შორის არიან ზოგი ერთი მოუსვენარი წვრიმალი ხალხები იმათ დასალაგმავად უფრო საჭიროა, რიგიანი პოლიცია ვინემ აუარებელი ჯარი. ამ უკანასკნელ ომიანობის დროს, დაღისტნის და ჩაჩნის აჯანყებამ ცხადად დაგვიმტკიცა ეს: პირველი განზრახვა მათის აჯანყებისა დასაწყისშივე იყო მოსპობილი ადგილობრივი მილიციისაგან. სასტიკი გაკვეთილი, რომელიც ამ უკანასკნელ აჯანყების დროს მიიღეს, უეჭველია, დაუკარგავს მთიულებს სურვილს, რომ ოდესმე კიდევ ეძიონ თავიანთი ბედი და იღბალი რუსეთთან ომში, რომელსაც ვერც ეხლა გაბედავდნენ, თუ არ ჰქონებოდათ იმედი მათ ერთმორწმუნეთა შემწეობისა. ოსმალეთთან და სპარსეთთან მათი მეზობლობისა არ უნდა გვეშინოდეს ეხლა მით უმეტეს, როდესაც ყარსი, ბათომი და ახალი სამზღვრები ჩვენი არის. ამ მხრით იმათ დაკეტილი აქვსთ კარები

მაწვილევ!. ოჰ, ტკბილნო და ნეტარნო ოცნებანო! ოჰ, „სიჭაბუკე-ზეცის ჯილდოვ“! როგორც ერთმა ჩვენმა პოეტთაგანმა სთქვა. რა მძიმე და ძნელი დასათმობია სიყმაწვილე! რამდენი თავხედობა, სიცელქე, ოცნებანი, ცხოვრების სიტკბოება...... ყოველი შენი ასო მოძრაობს, ღელავს, თრთის, ილტვი გახვიდე სადღაც თავისუფალ ქვეყანაში; მდიდარი ოცნებებითა მომავალს ცხოვრების ტკბილ ბურანში ეხვევი, ცისა და ქვეყნის მფლობელად თავსა გრძნობ, მძლეველად ბუნებისა; ვერ წარმოგიდგენია: სიბერე, უძლურება, სილარიბე, დაცემა; ვერ წარმოგიდგენია, სოფლის ტალღას როგორ დაუღრეჯია პირი და შთანთქავს გექადება, ვერ წარმოგიდგენია წელში მოკაკული მოხუცი, ოფლის წურწურით შუბლზე ლუკმისთვის რომ ილრწვის, ვერ წარმოგიდგენია..... მაგრამ არა! სიყმაწვილეც ისეთივე წარმავალი და ფუჭია, როგორც სხვაც ყველა ქვეყანაზედ: მაშ დასტკბი, ისარგებლე დროთი და დროებით! დრო, ეს შეუწყალებელი დრო, მალე შესცვლის შენს ყვავილოვან სიჭაბუკეს ჭაღარა სიბერეთ, მალე აგიხილავს ცხოვრების თვალს და დაგანახვებს მაშვრალთ ქვეყანას...

გადავშლი ერთ ფურცელს ჩემს დღიურში და მკითხველს მოვახსენებ დანაპირს. აი სწორედ ის ადგილი: ოც-და-ორის წლისა ვარ. ეხლა კი ყმაწვილი აღარა ვარ და ვულიანად მეცინება ჩემს წარსულს ოცნებებზე უწყალო წუთი-სოფელმა ერთი ორჯელაც გამქელა შრომის წნხლით. ეხლა კი გამოცდილი კაცი მქვიან, თუმცა სრულიად არა. ამ წელში საყურადღებო მხოლოდ შემდეგი მაქვს ჩაწერილი: ჩემი სიყმაწვილის დაუვიწყარი მეგობარი ვასო მოვიდა რუსეთიდგან 16 მაისს. ერთად წავედით მისი მდიდარი ბებია-ბიძების სანახავად.—აი ჩვენი ლაპარაკის საგანი, მაშ დავიწყოთ.

29 მაისი. საღამო ტურფა და საამო, ნელი და გრილი. მოგვირახრახდა წვანედ შეღებილი კოხტა ტროიკა ქურანის ცხენებით. შეუდეგით სოლოლაკის მთას და მალე ამოვყავით წვერზედ თავი. ქალაქში თუმცა სრულიად ჩასული იყო მზე, აქ მილილი სხივები ჯერ კიდევ ცის კამარას ეთამაშებოდნენ და თვალწამტაცად გვიჭყუტუნებდნენ თვალებში. ისინიც მალე ძიეფარნენ მთებს და მაშინ კოჯრის სიომ უცბად ძვალრბილში გაგვირბინა. მალე ბინდბუნდიც მოედო მთლად ამ სამოთხის მსგავს არე-მარეს. მიგვახრიალებს წკარა-წკურით ჩვენი ტროიკა, მივქრით და მივაჭენებთ სულ დასავლეთისკენ. კარგა მანძილი გავიარეთ, რომ ღრმა სიჩუმე მოგვდევდა; ხანდისხან ჩვენი იამშიკი გაუსტვენდა, შოლტს გაუწკაპუნებდა და შესძახებდა თავის ცხენებს:

— აბა, შვილებო, არ შემარცხვინოთ ამ ჩვენს ახალგაზდა ბატონებთანაო, აბა გენაცვალეთ მოჰკურცხლეთ, თუ გინდათ ორი-ორი გირვანქა ქერი მოგიმატოთ. ისე ჩუმად ვისხედით მე და ჩემი მეგობარი, ისე ღრმა დუმილში ვიყავით, რომ სწორედ გეგონებოდათ, დანაძლევებულნი არიანო და ვინც პირველად ხმას ამოიღებს, იმას ჯარიმა გადახდებაო. ცოტაც გავიარეთ და ჩემმა მეგობარმა პირველმა ამოიღო ხმა. მაგრამ, სანამ ის ლაპარაკს დაიწყოს, ნება მიბოძეთ, ჩემო მკითხველო, გაგაცნოთ ჩემი მეგობარი. უნდა მოგახსენოთ, ძალიან კარგი კაცია ჩემი მეგობარი, სინიდისით და პატიოსნებით აღმავსე, სულით და გულით ქართველი კაცი. ეს არის ობოლი კაცი, კეთილშობილი, გვარიანად მდიდარი, მამული და ქონება გაზიარებული და ჯერ კიდევ გაუყოფელი აქვს თავის ბებია-ბიძებთან. არის 22 წლისა. შეასრულა კურსი ერთ ჩვენებურ გიმნაზიაში, რის შემდეგაც უნივერსიტეტში გაემგზავრა; მაგრამ, რადგან მისგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო არ მოხდომოდა უნივერსიტეტში შესვლა, ამისთვის, თავისიანების რჩევით, სამხედრო სამსახურში შესულიყო. ამ გვარად ექიმისა, მსაჯულისა, ვექილის

კავკასიაში შემოსვლისა და მაშ ვერც აქ ვხედავთ საჭიროდ ამოდენა სამხედრო ძალის კავკასიაში ყოლასა. ამ ჟამად კავკასიაში არის 4,301 აფიცერი და 124,327 დაბალი ჩინი (სალდათი).

მაშ ვის უდარაჯებს ეს ამოდენა ჯარიო?—ჰკითხულობს „გოლოსი“. ყირიმის ომის დროს, როდესაც კავკასიის ჯარს უნდა შეენახა მთელი საზღვარი, როდესაც, ჯერ კიდე თავისუფალი მთიულები არ ისვენებდნენ, თავიანთის მხედრობაში განთქმულის და გათამამებულის შამილით, როდესაც ომარ-ფაშა თამამად მიდიოდა ქუთაისზე და მთელი ანატოლიის ჯარი სომხეთზე, მაშინ არ იყო ამოდენა ურიცხვი ჯარი რაც დღეს, როდესაც სრული მშვიდობიანობა სუფევს მხარეში. საფრანგეთთან მშვიდობიანობის ჩამოგდების წინ, კავკასიაში მხოლოდ 116 ბატალიონი იყო და ეხლა კი 136 ბატალიონია.....

შემდეგ „გოლოსს“ მოჰყავს თუ რამდენად მეტი იხარჯება კავკასიის სამხედრო ოლქზე შედარებით სხვა ამის მზგავს ოლქებზედ:

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში | — — | 925,276 მან. |
| ვარშავაში | — — | 245,715 მან. |
| თურქისტანში | — | 259,500 მან. |

აქვე არის მოყვანილი უმეტესობა კავკასიაში სამხედრო მოხელე პირებისა სხვა სამხედრო ოლქებზედ. კავკასიაში ეს პირნი ერთი ათად მეტია, ვინემ სხვაგან და აქედამ ხარჯიც თითქმის ამდენადვე მეტი უნდება.

„გოლოსი“ განაგრძობს: ეხლა როდესაც ახალი სხვა-და-სხვა გადასახადებიც ვერ ჰფარავენ ხარჯს, კავკასიის ჯარის ბიუდჟეტი გვაძლევს სსულ შეძლებას და უფლებას თავის შემოკლებისას......

* * *

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ საბა-სულხან ორბელიანის სურათი, რომელიც ამ მოკლე ხანში მოსულია პეტერბურღის აკადემიის ბიბლიოთეკიდგან ბ. ზ. ჭიჭინაძეს. თვითონ საბა მეტის მეტად მოხუცებული კაცია, გათეთრებულს თმა წვერით და მეტად გამომეტყველურის ხით. სურათი ბერის ტანთ-საცმოსშია გადაღებული.

* * *

ტფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან კარგ მოსავლიანობას იწერებიან, მაგრამ რადგანაც ამ ორი-სამი წლის განმავლობებში მოსავლები არ იყუვო, კურკა წონია ვაჭრებისა ერთობ ბევრი ვალი დაგვედო და ყველა იმ ვალს წლეულს გვახდევინებენ და გვყვლეფამენო. ასე, რომ წლევანდელი მოსავალი ჩვენთვის იმდენს ვერას დაიჭერსო.

* * *

საგარეჯოსკენ, როგორც გვაცნობებენ, ამ ჟამად კოდი ხორბალი თოთხმეტ აბაზად ფასობსო. ღმერთმა ქმნას. პურის სიძვირეს უჩივიან ქალაქში და იქნებ ცოტაოდნად გაიეფდეს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 30 ივლისს. თურმე სენატორი ბერი ჩვენი სასამართლოების რევიზიისათვის არ ჩამოსულა: ის პირადად ეცნობება სამსჯავროთა წევრებს და გაკვრით ათვალიერებს საქმეებს სისხლის-სამართლისას. აქაურის სასამართლოების ასე დათვალიერების შემდეგ სენატორი წარემართა დაბა ხონში, რომლის მომრიგებელი მოსამართლე ბ. ხ. . . რსკი ჩვეულებრივად ქუთაისში განისვენებდა... ვ-ღაც მისმა კეთილის-მყოფელმა შეატყობინა რომ ბერი ეს-ეს არის ხონში წავიდაო; ელდაცემული მოსამართლე მეყვსეულად ჩახტა ფაეტონში და დაედევნა სენატორს, რომელსაც კიდეც დაეწია, მგონია, გუბის წყალთან... მეორე დღესვე ბერმა მიატოვა ხონი და, როგორც ამბობენ, ასე მოკლე დროში გაკვრით გადათვალიერებით ც შეუმჩნევია, რომ ბ. მ. . . აჯულს საქმეები მიშვებული აქვსო (запущенны дѣла!) რაღას შეამჩნევდა მაშინ ეს დალოცვილი სენატორი რომ მეტი ხანი დარჩენილიყო და ნამდვილი რევიზიაც მოეხდინა?!

ხონიდამ ბერმა გასწია სამეგრელოში და იქიდამ გადავა გურიაში, (სადაც ამ მოკლე დროში გამოაცხადებენ „სამხედრო მდგომარეობას“, თუ უკვე გამოცხადებულიც არ არის, და ამისთვის მადლობა გურულებმა, რასაკვირველია, დღევანდლამდე იქ მყოფს ადმინისტრაციას უნდა შესწირონ! *).

ჰკლავენ და ჰკლავენ ინჟინერებს გურიაში! თქვენს გაზეთში კიდეც იყო ამ უბედურ მსხვერპლთა გვარები გამოცხადებული. რა არის ამ მკვლელობის მიზეზი? ნუ თუ გურიაში ისე გამრავლდა ავაზაკები რომ ცოტაც არის ფულიანს კაცს უშიშრად გარება არ შეუძლია? არა; ამ შემთხვევაში მეტადრე ეს არ ითქმის. მე თქვენ წინად გაცნობეთ თუ რა ოინები ჩაიდინეს ინჟინერებმა სოფ. ლანჩხუთში და როგორ მოინდომეს ორი-გროშის ეკონომიისათვის მთელი ამ სოფლისა და მისი გარემოს წყურვილით დახოცა. მარტო ამას არ დაჯერებულან მუცლით სვავი და გულით ყვავი ინჟინერები მათის ხელქვეითი მუშების თავდგმურებითურთ: სამტრედიიდამ დაწყებული ბ თომამდი, მთელი რკინის გზის ხაზის გაყოლება რაც ჩვენებური მუშებია, თითქმის არც-ერთს მათგანს, როგორც ამბობენ სარწმუნო კაცები, სრულს ხვედრს ჯამაგირს არ აძლევენ, ვის ნახევარს არგუნებენ, ისიც თურმე დიდი დავიდარაბის შემდეგ, და ვის მასზე ნაკლებსაც... აი ამ ნაირად და ამის გამო დაჩაგრულნი [illegible] მით გაცდენილი [illegible] ვ ქბატონებისაგან ლუკმა-პურს მოკლებული, კუჭის ბრძანებით იღებს ხელში თოფს და მის აბებს აყუაპეინებს მათ, ვინც „პურის ნაცვლად ქვა მიაწოდა და თევზის მაგიერ გველი“...

„ძალიან ადვილია, რომ კაუნათლებელი კაცი, რაც უნდა კეთილი გულის იყოს ის თვისდა-თავად, სისხლის მსმელ ნადირად ვადიქცესო“, სთქვა ერთმა გამოჩენილმა მწერალმა საფრანგეთისამ. მაშასადამე კიდევ სახელი და დიდება ბათომის რკინის გზის მუშებს, რომ ერთს წელიწადზე მეტი ითმინეს ყოველ გვარი ტანჯვა-წამება და მანამ არ დაადგნენ იარალით შურის-ძიების გზას, სანამ ერთიფიორი იმედი კიდევ მოეპოვებოდათ სამსჯავროსაგან სამართლის მიღებისა, და სანამ მათმა მჩაგვრელებმა არ განიზრახეს მათი სულ ერთიანად გასრესა...

ეხლა ამ წამხდარ საქმის გასწორება (რასაკვირველია მკვდარ-ინჟინერთ გაცოცხლების გარდა) კიდევ შეიძლება თუ დაუჯერებენ იმ ბრძენ ხალხს, რომელიც ამბობდა: ბოროტება სათნოებით განიკურნებაო. მიეცეს საწყალ მუშებს ის, რაც მათის ოფლით დაუმსახურებიათ, ნულარ დაჩაგვრენ აქამდისებურად, დაარწმუნონ, რომ ამიერ მათ სამართლიანად მოეპყრობიან, და, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ არც ერთის ინჟინერის, და საზოგადოდ, სარკინისგზო გამგეობის წევრის თავს, ღერი ბალანიც არ ევნება; თორემ ძალით და მუქარით არაფერი გარიგდება-რა...

ჯ.

---

*) ამაზე დაწვრილებით შემდეგ მოველაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

ავტ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კბილ-

---

საა ანუ რამე მეცნიერის ნაცვლად, გუსარის აფიცრად გამოგვეცხადა პარუჩიკის ჩინით. რომ დაწვრილებით წარბ-წამწამ-ტუჩ-კბილ-ნიკაპით არ აგიწეროთ ჩემი მეგობარი, ერთის სიტყვით გეტყვით: ეს არის მშვენიერი სახოვანი და ტანოვანი ახალგაზრდა ქართველი, გუსარის პარუჩიკი.

—სხვა ჩემო მეგობარო, დაიწყო ვასომ, მითხარი რამე ჩვენის ქვეყნისა: როგორ სწარმოებს სახალხო კეთილ დღეობის საქმეები, რა მოგველის მომავალში და სხვ? მე რომ მიყურებ, ჩემო ძმავ, გაჩუმებულს, მე ამის მიზეზი მაქვს: ჯერ მინდა დავსტკბე მშვენიერი და საყვარელი ჩვენი სამშობლოს ცქერით, დავატკბო ყნოსვა მის სუნელოვანი ჰაეროვნებით, სიხარულის ცრემლი დავღვარო, რომ კვალად მშობელ მამულს ჩავეკვრები გულში, ამით მოვიახო გული და მერე ენას გამოვათქმევინებ მის შესახებ ჩემს ჰაზრს და დანაპირს.

ამ სიტყვებზედ ვასომ ამოიოხრა და ჩაჩუმდა. ამნაირმა მისმა გულწრფელმა სიტყვებმა, ცოტა არა, რომ ამაღელვეს და დამაფიქრეს. ცოტა ხანს მეც კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე დავიწყეთ გაცხარებული ლაპარაკი სუყველა იმაზედ, რაც კი ჩვენ ქვეყანას შეეხებოდა. ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს მწერლობაზედაც, ჩვენ მოწინავე ხალხზედაც, ძველსა და ახალ თაობაზედაც... ერთ ნუგეშს ვაძლევდით ერთმანეთს, დიდი მომავალის იმედი გაგვეღვიძა და, ცოტა არ იყოს, ამ გვარმა საუბარმა გაგვამხნევა და გაგვამხიარულა კიდეც: ხუმრობაც დავიწყეთ, ვიცინეთ, ვიხარხარეთ, ჩვენი პოეტების ლექსებიც შემოვძახეთ; მერე ვასოს „მაყრული“ მოაგონდა და ორთა დავძახეთ, რის გამოც ტყეში მთელი ხროვა ტურიბი ავტეხეთ, რომელთაც საზარელის ხმით მორთეს ჩხავილი. ამ ნაირად გზას ვიმოკლებდით.

უცბად ვასომ ხელი მომკიდა, შემომაშტერდა და აღელვების მწარე ღიმილით მითხრა:

—იცი, ძმაო, ამ ოთხი წლის წინად ამ გზაზედ ერთ კვირაში ხუთჯერ გავირბინ-გამოვირბინე! ჩემთვის არც ჭამა იყო, არც სმა, არც ძილი და სულ ჭირის ოფლს მასხამდა!

— რა ამბავი იყო, რატომ მე არ ვიცირა?! გაკვირვებით ვკითხე მე.

— მე, ჩემო ძმავ, ხორციელი ადამიანისთვის ვერ მეთქვა, ისე ვშიშობდი, მაგრამ ულმობელმა ბედმა მაინც კიდევ თავისი გაიტანა...

ამოიოხრა და კვალად დაიწყო:

— ოჰ, სიყმაწვილევ, რა ძნელად მოსაპოვებელი ხარ! გახსოვს, მეგობარო, ჩვენი სიყმაწვილე? მითხრა მე. რა ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ბოლოს კი საშინლად ჩამმწარდა მთელი სიყმაწვილის სიტკბოება.

— შენს ცხოვრებაში რაღაც საიდუმლოება ყოფილა, უთხარი მე, და მე კი, შენმა გულითადმა მეგობარმა კი არ ვიცოდი! არ მეგონა, ვასო, თუ რამეს დამიმალავდი შენს ცხოვრებაში!

იმან, თითქო ვერ გაიგონაო ჩემი ლაპარაკი, არაფერი არ მიპასუხა და ისევ თავისთვის მოჰყვა:

— რა ნაირად ამიცრუვა გული სიცოცხლეზედ ამ ოხერმა ქვეყნიურმა ამაოებამ!..

სთქვა ესა და პირი მომარიდა, თვალებში ცრემლი მოერია. მეც აღარა ვკითხე რა, რადგანაც შევატყე, რომ ძალიან შესაწუხებელი რამე მოაგონდა, რომლის თქმასაც ჩემთან ვერა ჰბედავდა. ის დაფიქრდა და მე უარესად. მე ეს მაკვირვებდა, ამ კაცის გარემოება ხუთი თითივით ვიცოდი და რა იყო იმასთანა შემაძრწუნებელი იმის ცხოვრებაში, რომ ამ გვარი სიტყვები წარმოთქმევინა. იმისმა ცქერამ მე უფრო შემაწუხა, თუმცა სრულიად არ ვიცოდი იმის შეწუხების მიზეზი.

ნ.

(შემდეგი იქნება).

დიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მიყიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარდ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილის ძე

## ჩემესოვი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე ბატ. ბელოის სახლებში. (6—2)

**სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი**

აცხადებს, რომ ხელ-ახლა ი გამოცდა მოწაფეებისა მოსამზადებელი კლასებისა და მიღება ახლად მოყვანილის ყმაწვილებისა იმავე კლასებში დაიწყობა 4-ს სექტემბერს რადგან 1 2 და 3-ს არის დანიშნული კრება სამღვდელოთა. (3—3)

მომავლის სასწავლებო წლისათვის

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში**

არის 65 თავისუფალი ადგილი; 45 პირველს განყოფილებაში შვიდი-რვა წლის ყმაწვილებისათვის, რომელნიც უეგზამენოდ მიიღებიან, და 20 ადგილი მეორე განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან ყმაწვილები ერთი წლით უხნესი, ვიდრე პირველში, მაგრამ ეგზამენით (უნდა იცოდნენ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან ათამდინ მაინც ყოველ მხრივ შესწავლული ჰქონდესთ რიცხვები).

მესამე და მეოთხე განყოფილებაში არცერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

თხოვნები მიიღება ოც-და-ხუთს მარიობისთვემდის; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა. 25 მარიობისთვიდგან 1-ს ენკენისთვემდის იქნება მიღება ყმაწვილებისა. (5—5)

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

Издаваемый въ г. Тифлисѣ

(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

**Цѣна за полгода 6 руб.**

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова.

(6—3)

## მაღაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—8)

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა ვ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსა.

ფასი ერთი აბაზი

(10—1)

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუკ

## ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

**ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი**

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

**ტაქსია**

საჭმელზედ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აგვისტოდგან 15 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | - 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—11)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი